

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო კ მ ი № 3

29 დეკემბერი 2010 წელი

ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე და ასლან ჩავლეიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრები გია გარსევანიშვილი და მალხაზ კალანდაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2009 წლის 29 დეკემბრის №9 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

(მომხ. ა. მიქელაძე)

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ

(მომხ. ქ. ჯიქია)

1. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო. სხდომის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით უსკო-ზე დამტკიცებული საბიუჯეტო ასიგნებების შესაბამისად, უსკო-ს მიერ დამტკიცებული უნდა იქნას 2011 წლის მიმდინარე ხარჯები (ხარჯთაღრიცხვა) კვარტლების მიხედვით. ასევე განიხილა და კომისიას გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქეეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 4;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2011 წლის ხარჯთაღრიცხვა თანახმად დანართისა.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2009 წლის 29 დეკემბრის №9 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიას წარუდგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისია დღემდე (2010 წლის 29 დეკემბერი) ხელმძღვანელობს 2009 წლის 29 დეკემბრის №9 განკარგულებით დამტკიცებულ საარჩევნო სამმართველოსთან შეთანხმებული საქმეთა ნომენკლატურით. ასევე აღნიშნა, რომ „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის №414 ბრძანებულების და „დაწესებულებათა არჩევების მუშაობის წესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 15 ივნისის №174 ბრძანების თანახმად, საქმეთა ნომენკლატურა რომელიც შემუშავებული და მოწონებული იქნება დაწესებულების მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის მიერ იგზავნება შესაბამის ცენტრალურ საარჩევნო სამმართველოში (დაწესებულების) საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიასთან შესათანხმებლად, რის შემდეგაც მას ამტკიცებს დაწესებულების ხელმძღვანელი. ასევე აღნიშნა, რომ უსკო-ს მოქმედი ნომენკლატურა რომელიც დამტკიცებულია კომისიის მიერ 2009 წლის 29 დეკემბრის №9 განკარგულებით უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად და მისი დამტკიცება უნდა მოხდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, რის შემდეგაც კომისიას დეტალურად გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვას:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2009 წლის 29 დეკემბრის №9 განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის საქმეთა ნომენკლატურის დამტკიცების შესახებ.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.
3. განკარგულების პირველი პუნქტი ამოქმედდეს 2010 წლის 31 დეკემბრიდან.
4. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

3. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

კომისიის წევრმა, ქალბატონმა ქეთევან ჯიქიამ კომისიას გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ უსკო-ს 2006 წლის 13 ივლისის №5 განკარგულებით დამტკიცებული აქვს კომისიის წევრის მოწმობის ფორმა, მაგრამ ხსენებულ ფორმაში მოწმობის ზედა მარცხენა მხარეს ასახულია მხოლოდ სახელმწიფო მცირე გერბი მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო მცირე გერბთან ერთად ასევე ასახული უნდა იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი. ასევე აღნიშნა, რომ 2006 წლის 13 ივლისის №5 განკარგულება რომლითაც დამტკიცებული იქნა წევრის მოწმობის ფორმა უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად და მიღებული უნდა იქნას უსკო-ს წევრის ახალი მოწმობის ფორმა სადაც ასახული იქნება სახელმწიფო მცირე გერბთან ერთად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი რის შემდეგაც კომისიას წარუდგინა კომისიის წევრის მოწმობის ფორმის ნიმუში და ისაუბრა კომისიის წევრის მოწმობის ფორმაში მითითებულ რეკვიზიტებზე.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრმა ქალბატონმა თამარ ხოზრევანიძემ, რომელმაც კომისიას შესთავაზა მოწმობის წინა გვერდი ყოფილიყო იასამნისფერი, რასაც დაეთანხმა ასევე კომისიის სხვა წევრებიც.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 4;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 4 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმა თანდართული ნიმუშის მიხედვით.
(უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრის მოწმობის ფორმა შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: მოწმობა არის მართკუთხა ფორმის პლასტიკური ბარათის ტიპის 8,5X5,4 სმ. მოწმობის ფორმის წინა გვერდი არის იასამნისფერი და შედგენილია სახელმწიფო ენაზე, წინა გვერდზე, მოწმობის ფორმის ზედა მარცხენა ნაწილში გამოსახულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბი, რომლის მარცხენა მხარეს (დამკვირვებლის პოზიციიდან, რომელიც დგას ამ გერბის პირდაპირ) გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო მცირე გერბი, მოწმობის წინა გვერდზე ასევე მითითებულია მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება, მოწმობის ნომერი, თანამდებობის პირის სახელი, გვარი და თანამდებობა, ხელმძღვანელი პირის ხელმოწერა და მოქმედების ვადა. მოწმობის ფორმის უკანა მხარე არის თეთრი ფერის, შედგენილია ინგლისურ ენაზე და სრული სახით გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო დროშა, მოწმობის უკანა მხარეს ასევე მითითებულია მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება, მოწმობის ნომერი, თანამდებობის პირის სახელი, გვარი, თანამდებობა და მოწმობის მოქმედების ვადა).

2. ძალდაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 13 ივლისის №5 განკარგულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

4. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია